ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2014 წლის 4 აგვისტო

დ.ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 06 სექტემბრის №29 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 სექტემბრის №29 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ **(საკანონმდებლო მაცნე №29 2010 წლის 24 სექტემბერი მუხლი 8 23)**

შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ №1 დანართში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„დანართი №1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგი (ლარებში))
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2360
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
3	საკრებულოს აპარატის უფროსი	1000
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
5	საკრებულოს აპარატის უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი (მთავარი სპეციალისტი)	560
6	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	750
7	სპეციალისტი (მდივანი)	500
8	სპეციალისტი (მძღოლი)	500
9	სპეციალისტი (დამლაგებელი)	300

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ინგა მაღრაძე